

მხიარულთა და საზრიანთა გუნდი „აგრუნი“

აგრარული უნივერსიტეტის ერთ-ერთ სავიზიტო ბარათს ყოველთვის წარმოადგენდა მხიარულთა და საზრიანთა გუნდი. დღეს გუნდს „აგრუნი“-ს სახელით იცნობენ. „აგრუნის“ წარსულია გუნდი "სოფელო".

„სოფელო“ 1988 წელს ჩამოყალიბდა უნივერსიტეტში არსებული სახალხო თეატრის ბაზაზე და დიდი წარმატებით თამაშობდა უმაღლეს ლიგაში, აქედან, ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი.

რადგან გუნდი თეატრის ბაზაზე შეიქმნა, მას თეატრის დასის წევრები: გია ჯგუშია, მამუკა კობერიძე, დათო დევდარიანი, გოჩა კორხელაური, ნათია ბანძელაძე შეადგენდნენ. რეჟისურასაც თეატრის რეჟისორი გოგი თოდაძე უზრუნველყოფდა. პირველ ეტაპზე, სცენარისტი გახლდათ ცნობილი იუმორისტი სოსო მაჭმანიანი, ხოლო შემდგომ, ნაკრების არსებობის ბოლომდე, გუნდს ხელმძღვანელობდა გოჩა კორხელაური (ამჟამად სერიალ "შუა ქალაქში"-ს და "ღამის შოუს" რეჟისორი).

1988 წელს "სოფელო" ჩაება მაშინდელი კომკავშირის მიერ ორგანიზებულ ჩემპიონატში, რომელშიც საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობდა. გუნდი ფინალში გავიდა. ფინალური შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შედგა. საკმაოდ წარმომადგენლობითმა ჟიურიმ (კოტე მახარაძე, გიზო ნიშნიანიძე და სხვ.) გამარჯვებული ვერ გამოავლინა და მაყურებელს მიანდო გადაწყვეტილების მიღება. დღეს, ორივე მხარე თავს გამარჯვებულად თვლის.

ცნობილი მოვლენების გამო 1989 წელს ჩემპიონატი შეწყდა. 1992 წელს შეიქმნა საქართველოს მან-სან-კანის ფედერაცია, რომელიც რუსული KBH-ის ოფიციალურ ფილიალად ჩამოყალიბდა და ჩემპიონატებიც განახლდა.

1992 წელს "სოფელო" კვლავ გავიდა ფინალში და მეორე ადგილი დაიკავა ტექნიკური უნივერსიტეტის შემდეგ.

ამ პერიოდში "სოფელოს" შემადგენლობაში იყვნენ: გუნდის კაპიტანი გიორგი გოგიჩაიშვილი (იგივე გოგიჩა), ზაზა ბიბილური, თენგიზ ჭიჭინაძე, ხვიჩა რუხაძე, რამაზ სირაძე, დევი დევიძე, გოგა ბაბუციძე, კახა გვანცელაძე, ნათია ბანძელაძე, რუსიკო ხვიჩია, სანდრო ურუშაძე, კოტე რაზმაძე.

მომდევნო ჩემპიონატის ფინალში, 1995 წელს "სოფელო" უკვე მეორედ შეხვდა ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს და ჩემპიონი გახდა. ეს ის პერიოდია, როცა ის თეატრთან აღარ ასოცირდებოდა და მან-სან-კანი დამოუკიდებელი გახდა.

"სოფელოს" ისტორიაში იყო ისეთი პერიოდიც, როცა გუნდმა თავი შეურაცხყოფილად ჩათვალა და უარი განაცხადა თამაშებზე, მიზეზი ჟიურის უსამართლო გადაწყვეტილება იყო.

ტრიუმფალური სვლის შემდეგ "სოფელომ" ტაიმ-აუტი აიღო. მას შემდეგ, რაც გუნდის წევრებმა დაასრულეს სწავლა აგრარულ უნივერსიტეტში, გუნდი დაიშალა და მხოლოდ 2001 წელს გახდა შესაძლებელი ახალი ნაკრების შექმნა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: გოგიტა დათუაშვილი (გუნდის კაპიტანი), გუჯა მაჭარაშვილი (ამჟამად სერიალ "შუა ქალაქში"-ს, "ღამის შოუს" და "ნანუკას შოუს" სცენარისტი), მიშა ბენაშვილი, ია ჭუბაბრია, დათო კინწურაშვილი, ვასო ნატროშვილი, დათო დულაშვილი და გოჩა გლოველი, ხოლო გუნდის ხელმძღვანელი გოჩა კორხელაური.

ახალი თაობის "სოფელომ" მონაწილეობა მიიღო უმაღლესი ლიგის ჩემპიონატში და პირველივე წელს გავიდა ფინალში, იმავე წელს აიღო "მან-სან-კან ოსკარი" ნომინაციაში - სეზონის საუკეთესო საშინაო დავალება. ასევე მონაწილეობდა ფოთის მუსიკალურ ფესტივალში. ამ შემადგენლობით

ნაკრებმა 2002 წლის ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა და ფინალში კვლავ ტექნიკურ უნივერსიტეტთან დამარცხდა, "სოფელომ" ვიცე-ჩემპიონის ტიტულით შეწყვიტა არსებობა. ამის შემდგომ ჩამოყალიბდა საფაკულტეტო გუნდები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში გამართულ ჩემპიონატებში, მათ შორის გამოირჩეოდნენ: ს/მ ელექტრიფიკაციის ფაკულტეტის გუნდი "ინდიკატორი", ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის გუნდი "საბიუჯეტო კრიზისი" და სხვა.

2011 წელს კვლავ აღდგა „სოფელო“, რომელიც წელს საქართველოს მხიარულთა და საზრიანთა ჩემპიონატის შემოდგომის სეზონის ფავორიტი გახდა.

დღეს, აგრარული უნივერსიტეტის გუნდი „აგრუნის“ სახელით აგრძელებს ტრადიციას და ჩემპიონობისთვის იბრძვის. გუნდის ხელმძღვანელია ლაშა რამინიშვილი.

